საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 1269/1
01/02/2019

1269-1-2-201902011844

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

**ბატონო ლევან,**

გაცნობებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ დაბა გუდაურის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით გეგმავს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობას დაბა გუდაურის ტერიტორიაზე.

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის #2-985 ბრძანების საფუძველზე გაცემულია სკოპინგის #50 დასკვნა (15.11.2018).

სკოპინგის დასკვნის პირობებისა და საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ გარემოსდაცვით დოკუმენტაციას:

1. დაბა გუდაურის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-ექსპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზ;
2. დაბა გუდაურის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-ექსპლოატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა (ზდგ) ნორმების პროექტი - 2ეგზ;


საქართველო, თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water.gov.ge
76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

3. დაბა გუდაურის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - 2 ეგზ;
4. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზ;
5. საპროექტო ტერიტორიის Shape ფაილები;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
8. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული (CD დისკზე) ვერსიის სახით.

პატივისცემით,

ეკატერინე გალდავა

დირექტორი

ხელმძღვანელობა